# მამუკა სალარეიშვილი რეგიონში მომუშავე სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებს შეხვდა

29 აპრილი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა სალარეიშვილი რწმუნებულის მოადგილესთან ნუგზარ სამხარაძესთან ერთად შიდა ქართლის რეგიონში მომუშავე სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი რეგიონში არსებულ ეპიდსიტუაციასა და ვაქცინაციის პროცესს შეეხო. ასევე, იმსჯელეს ვირუსის გავრცელების მესამე ტალღასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და საპასუხო სტრატეგიაზე. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კლინიკებში მობილიზებულია ყველა რესურსი, მათ შორის საწოლფონდი.